დუშეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით წარმოდგენილი პროექტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №3

ქ. დუშეთი 15 ივნისი 2011 წელი

12:00 სთ.

კომისიის თავმჯდომარე:

ცარო სამაგლიშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

კომისიის წევრები:

ნინო თუჯიშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი კომისიის მდივანი;

ზურაბ ოტიაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ისაკ კარიაული - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსი;

ნიკო დუდაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

შალვა ინაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი;

ლაშა შარაშიძე - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი;

ჯიმი ჭელიძე - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;

კომისიის აპარატი:

დალი ნამგალაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ნინო ნატრაძე - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მოწვეული სპეციალისტები:

მერაბ რევაზიშვილი - ს/ს „ენერგო-პრო-ჯორჯიას" მცხეთა-მთიანეთის ფილიალის დუშეთის მომსახურების ცენტრის მეწყერი;

შალვა ხუციშვილი - შპს „დუშეთის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის" ინჟინერ-ელექტრიკოსი

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა ნინო თუჯიშვილი და ზურაბ ოტიაშვილი, საპატიო მიზეზით.

დღის წესრიგი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ N85-ე კონკურსში - ქალაქ დუშეთში სტალინის ქუჩის და ცენტრალური მოედნის გარე განათების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა - წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა - შეფასება.

/ტ. სამაგლიშვილი/

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრებმა შეისწავლეს და დეტალურად განიხილეს მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად, მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ N 85-ე კონკურსში, ქალაქ დუშეთში სტალინის ქუჩისა და ცენტრალური მოედნის გარე განათების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენაზე - შემოსული ორი კონკურსანტის შპს „სინათლე -2006" -ის და შპს „გზაპროექტის" საკონკურსო წინადადებები და მოახდინეს მათი შეფასება. (შეფასების ცხრილები ოქმს თან ერთვის).

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „გზაპროექტის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

აზრი გამოთქვეს:

მერაბ რევაზიშვილმა - შპს „გზაპროექტის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებიდან ნათლად ჩანს, რომ მათ მიერ წარმოდგენილი შუქტექნიკურ ნაწილში წარმოდგენილი განათების საშუალებების, კერძოდ სანათის პარამეტრები (სიმძლავრე, სინათლის ნაკადი, შუქგადაცემა, ცვლადი ძაბვის ქსელის დასაშვები ძაბვა და სხვა) წოვაციურია ჩვენი ქალაქისათვის და შეესაბამება დღეგანდელ სტანდარტებს, რაც შემდგომში უზრუნველყოფს ქალაქის ცენტრალური ქუჩის ჯეროვნად განათებას და ამავე დროს მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი სწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

ჯიმი ჭელიძემ - კომისიამ შეისწავლა ორივე საკონკურსო წინადადება, გაითვალისწინეთ კონკურსანტების განმარტებები და სპეციალისტთა მოსაზრებები წარმოდგენილი პროექტების ირგვლივ. მიმაჩნია, რომ შპს „გზაპროექტის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება უფრო ეკონომიურია, გათვალისწინებულია ყველა დეტალი და ნიუანსი, არის სრულიად ახალი ტექნოლოგია და ამ პროექტით შესრულებული სტალინის ქუჩის და ცენტრალური მოედნის გარე განათება იქნება უფრო ეფექტური და ეკონომიური ადგილობრივი ბიუჯეტისთვისაც.

მის მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრები.

დაადგინეს:

1. მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ N85-ე კონკურსში - ქალაქ დუშეთში სტალინის ქუჩისა და ცენტრალური მოედნის გარე განათების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო ტექნიკური დოკუმენტაციის დამზადება გამარჯვებულად გამოცხადდეს შპს „გზაპროექტი";

2. მოწვეულ იქნეს შპს „გზაპროექტი" სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად კანონის შესაბამისად, ხოლო შემდეგ წარმოადგინოს საპროექტო დასკვნა პროექტზე და მოახდინოს შემდგომში სამუშაოების საავტორო ზედამხედველობა;
3. კონკურსის შედეგების შესახებ საკონკურსო კომისიის ოქმი N3 აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ გვერდზე;

ოქმის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

/გ. სამაგლიშვილი/

/ზ. ოტიაშვილი/

/ჯ. ჭელიძე/

/ი. ბარიაული/

/ნ. დუდაური/

/შ. ინაშვილი/

/ლ. შარაშიძე/